**რედაქცია**
გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**
მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკეული „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.


# დროება


გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., წვრილის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვრილის ასოების სტრიქონზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.


მომავალ 1881 წელს

## დროება-ივერიის

გამოცემაზედ

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისდა-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი მომავალის წლიდამ გამოვა თთვე-და-თთვე, ე. ი. წელიწადში თორმეტი წიგნი, და ყოველ წიგნში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა. რედაქცია იმედოვნებს, რომ ჟურნალი თავის დროსა და რიგზე გამოვა იმავე პროგრამმით, როგორც 1879 წელს გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: **Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.**

ფ ა ს ი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება“ ცალკე — — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია“ ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 22 ნოემბ. ბეჭდვის კანონების გადასასინჯავად დანიშნულს კომისიაში სხვათა შორის მიიღებს მონაწილეობას იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ფრიშ. „გოლოსს“ გლადსტონიდამ სწერენ, რომ ადმირალ ლესოვსკის ფეხი მოუტეხია.

**რაგუზა**, 22 ნოემბ. რუსის სამხედრო ხომალდები პირეიში მიდის, იტალიისა—ბრინდიზიში და გერმანიისა—ტრიესტში.

**პეტერბურღი**, 23 ნოემბ. დღეს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც მომავალ 1881 წელს 1 იანვრიდამ მარილის აქციზი მოსპობილ უნდა იქმნეს და ამის-და-გვარად უნდა შემცირდეს აგრეთვე დამოყვნის ბაჟი სამღვარ-გარეთიდამ შემოტანილს მარილზედ.

### „მშაკის“ უცნაური ამბები

ტფილისი, 24 ნოემბერს.

ჩვეულებისამებრ გაზეთმა „მშაკმა“ კიდევ დაიწყო თავის უცნაური და ახირებული სტატიების ბეჭდვა ქართველების სომხობაზედ (?)

ერთი ამ სტატიათაგანი „მშაკის“ მე-208 ნომრიდამ მოგვყავს:

„გაზეთს „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ართვინელ სომხის-კათოლიკების ეპისკოპოზს ზაქარიანს, რომელიც ეხლა აქ იმყოფება,—ეძლევა კავკასიის აქეთა და იქითა მხრის სომხის-კათოლიკების გამგეობა, გამორიცხვით ლათინის-კათოლიკებისა, რომლებიც, როგორც სჩანს, კიდევ უნდა დარჩნენ სარატოვის ეპარხიის გამგეობაში.

„ხსენებულს რუსული გაზეთი გვიმტკიცებს, ვითომც ეპისკოპოსი ზაქარიანი იყოს შთამამავლობით ქართველი. მაგრამ სჩანს გაზეთს არა სცოდნია. რომ მთელს კავკასიაში არ არის ქართველი კათოლიკე. ისინი ყველანი, ვინც თავიანთ თავს უწოდებენ ქართველ-კათოლიკებს, არიან სომხის-კათოლიკები, რომელნიც უარს ჰყოფენ თავიანთ გვაროვნობას. ამათი გვარების წოდებაც ამტკიცებს, რომ სომხები არიან. კავკასიის გარეთა მხრის ყველა ეკკლესიებში ყოფილა და არის ყველა საუფლო ლოცვები და წირვა სომხურს ენაზედ; მხოლოდ რამდენიმე წელიწადია შევიდა ხმარებაში ჩვენი (!) კათოლიკების ეკკლესიაში ქართული ენა.

„თუ ჩვენი კათოლიკები ქართველები იყვნენ და თუ ქართველები არიან, ყველა ეკკლესიის წესები რატომ სომხურ ენაზედ მიდიოდა? თუ ქართველებმა აღიარეს კათოლიკობა, რუსების შემოსვლამდინაც ექმნებოდათ კათოლიკობა, რადგანაც ეხლა შეუძლებელია ერთიდამ მეორეში გადასვლა. თუ საქართველოს მეფეების დროს მიიღეს ქართველებმა კათოლიკობა, რისთვის შეიტანეს მაშინ სომხური ენა თავიანთ ეკკლესიებში?

„ამას გარდა არც თუ დღემდი გაგვიგონია ერთი ქართული სიტყვა

---

«დროების» ფელეტონი, 25 ნოემბ.

## წერილები საფრანგეთიდგან

### პარიჟის თეატრები

### VII

გასაოცარი და შესანიშნავია აქაურს თეატრში სხვა და სხვა წესებთან როლების ცოდნაც აქტიორებისაგან; ჩვენში ცოტა არ იყოს გვარიანათ ჩამოვიკოჭლებთ როლების ცოდნაში და იმის გამო მინდა ამ საგანზედ რამდენიმე სიტყვა ვსთქვა.

ძალიან იშვიათად შეხვდებით აქტიორს, რომ არ იცოდეს თავის როლი და ვაი იმის ბრალი, თუ კი არ იცის: რაც უნდა ნიჭიერი და საყვარელი საზოგადოების მოთამაშე იყო, არ დაზოგვენ, უშტვენენ და სცენიდამ გააგდებენ. ფრანცუზი ხშირად აპატიებს აქტიორს, თუ ის ცუდად თამაშობს,—არ ვიცი შეცოდებისაგინ არის ეს, თუ იმათი რბილი და ნაზი ხასიათის გამო; ამდენ კარგ მოთამაშეებში, აქ ორი იმდენი ცუდი და უნიჭო აქტიორები, რომელთაც, რასაკვირველია, ტაშს არ აღირსებენ, მაგრამ არც უკივლებენ ხოლმე; მხოლოდ თუ რომელიმემ როლი არიცის, მაშინ კი მშვიდობით!

რა ლაპარაკი უნდა და ბევრი სჯა იმას, რომ როლების ცოდნას ყველაზე უპირველესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე. ერთმა მოთამაშემ რომ არ იცოდეს როლი, შეუძლია ყველა აქტიორების თამაში და პიესის ჩაფუშვა. ამას გარდა თუ აქტიორმა როლი იცის, იმას შეუძლია ნიადაგ თამაში და არა მარტო მაშვინ, როდესაც თვითონ ლაპარაკობს; მაგალითად: წარმოვიდგინოთ ორი აქტიორი ერთს რომელიმე სცენაში, როდესაც ერთ იმათგანი ამბობს თავის სათქმელს, მეორე ამ დროს ცალი ყურით და თვალით სუფლიორს მიჩერებია და ჰფიქრობს, ვაი თუ სუფლიორის სიტყვა დროზედ ვერ გავიგონო და შევრცხვეო; აქედგან გამოდის ის, რომ, როდესაც პირველი აქტიორი ელაპარაკება მძიმე და საჭირო საგანზე, რომელიც მოითხოვს სრულ ყურადღებას მეორისაგან, ეს მაშინ სულ სხვაზე ჰფიქრობს და მეორე მხრისაკენ იცქირება.—ნამდვილ ცხოვრებაში ხომ ასე არ არის; —როდესაც ვინმე მელაპარაკება საინტერესო და საჭირო საქმეზე, შენ იმას თვალებში შესცქერიხარ, სახეზე გეტყობა—თუ შენთვისაც ისე საინტერესოა ეს საგანი ანუ არაფრათ გეპრიაიება, თუ კი ნამდვილში ასეა, რატომ თეატრშიაც, რომელსაც ცხოვრების **ნამდვილს სარკეს** ეძახიან, არ უნდა იყოს ეგრე?

რასაკვირველია, არც ის ვარგა, როლი ძალიან ჩაზეპირებული ჰქონდეს აქტიორს, წარმოსთქვას ტარტარით, ვაიჰ-ვუით და გავიდეს სცენიდამ: თუ კი ცოტათი ლაპარაკი და კითხვა შეუძლია აქტიორს, ის აზრიანათ წაიკითხვას თავის ჩაზეპირებულ როლს დროზე შეჩერდება და დროზე შეიცვლის კილოს, ხმას: აამაღლებს ტონსა და დაამდაბლებს. ამას გარდა როცა როლი იცის მაშვინ მანერებიც (ჟესტი კულაციაც) ნამდვილი გამოვა, თორემ უცოდინარობის გამო ხშირად ხელის გაქნევა სიტყვას წაუსწრებს და სიტყვას ხელის გაქნევას;—ხშირად პირიც ღია დარჩება აქტიორს რამდენიმე წამით, რადგან გაალებს პირს სიტყვის სათქმელად და არ აცის კი რათქვას, სუფლიორის იმედი აქვს და იმან კი დროზედ ვერ მიაწოდა სიტყვა...

უველაფერი ეს ესმის აქაურ საზოგადოებას და დიდს მნიშვნელობასაც აძლევს როლების ცოდნას.

ეროვნული

ჩვენი ქვეყნის ეკკლესიებში. Ოფიციალურათაც აღიარებულია კათოლიკების ეკკლესია, „სომხის კათოლიკების ეკკლესიათ“ და ოფიციალურს ქაღალდებშიაც რუსეთის მეფობის დღიდგან ერთი სიტყვაც არ არის ქართველი კათოლიკეების არსებობაზე.

„მხოლოდ რამდენიმე წელიწადია თავიანთ გვარის უარ-მყოფელ კათოლიკებმა, რომლებიც ქართველობას იფერებენ, დაიწყეს თავიანთ ეკკლესიებში ზოგიერთა საუფლო ფსალმუნების ქართულათ გალობა: მაგრამ წირვები კიდევ ქართულად არა აქვსთ, არამედ სომხურად.

„შეუძლებელია, რომ ქართველებს სომხური ენა თავიანთ ეკკლესიეეში შეეტანათ.“

Წაიითხეთ თუ არა ეს სიტყვები, უნებურათ გაგვახსენდა განსვენებული რაინდი Დონ-კიხოტი, რომელიც კაცთ-მოყვარეობის გულისათვის და იმის დაცვისათვის აღიჭურვა და ყველას და ყველაფერს ეომებოდა ისე, რომ მეტის-მეტმა ალტაცებამ ასე აუხვია თვალები, რომ წისქვილებიც კი დევებათ ეჩვენა და გაცხარებული ეომა.

Რათ იქმნება გასაკვირვი, გატაცებით „გვარიოვნობის“ მოყვარემაც ყველას და ყველაფერს ეომოს, რომ მისი დაცემული ბედი და წარსული ბედნიერება სხვებისაგან შემატებით აღადგინოს და დააგვირგვინოს!.

Მაგრამ, სამწუხაროდ ის მიგვაჩნია, რომ ამისთანა როლში ისეთ რაინდებს ვხედავთ, რომლებისთვისაც ბრმა აღტაცებას ასე ადვილად ვერ უნდა აეხვია თვალები.

Დღესაც ვერ მიმხვდარვართ—თუ რის თქმა სურსთ ამათ მაგ ნაირი სიტყვებით, თუმცა არა ერთხელ იყო სომხურს გაზეთებისგან ამ გვარი უხიაკობა.

Თუმცა ბევრს ვიცნობთ, რომ გაუნათლებლობის ფარდა ისე ჩამოჰფარებიათ, რომ სარწმუნოების და გვაროვნობის გარჩევა არ შეუძლიათ და სარწმუნოება გვარი ეგონათ, მაგრამ ამას იმათზე როგორ ვიფიქრებთ, რომლებიც განათლების წრეში სდგანან და განათლებაზე ჰქადაგებენ!

Აციწყდება პატივცემულ „მშაკს“ ყველა წარსული ისტორიული მოვლენაები და ბრძანებს: ვინც სომხის კათოლიკეები არიან, ისინი უთუოთ სომხები არიანო და ვინც ქართველობენ, ისინი მხოლოდ იფერებენ და გვარის უარ-მყოფელები არიანო.

Ახირებულია თქვენმა სიცოცხლემ! Თუ იმის თქმა უნდა, რომ დამოუკიდებელი სარწმუნოება არა გაქვსთო, ეს სულ სხვაა; თუმცა ამაზე, მგონი, სომხებს ხელს არ მისცემს სიტყვის თქმა. Და თუ ისე ესმისთ, რომ სარწმუნოებას გვარტომობაზე იმ ნაირი გავლენა ჰქონდეს, რომ პირველს მეორის ჩაყლაპვა შეეძლოს, ესეც შეიძლება მარტო „მშაკის“ თეორია იყოს და არა სხვისა.

Ჩვენი საქართველოს წარსულმა ისტორიულ გარემოებამ ისეთი დღეები დაჰბადა რომ ერთხან ფრანგის პატრები შემოვიდნენ, იპოვნეს იმ ნაირი შემთხვევები, რომ ხალხი კათოლიკების სარწმუნოებაზე მიიზიდეს. მერე ოსმალოს ქრისტიანობაზე დევნულობამ და იმან რომ სომხები ქომაგებათ ჰყავდათ ოსმალებს, ამისათვის გადავიდა ქართველობა სომხის ტიბიკონზე და ზოგმა კი მაჰმადის სარწმუნოება მიიღო (რომლებიც ეხლა შემოუერთდენ საქართველოს). მაშ ყველა ესენი ქართველები არ არიან? მაშ პირველები ფრანგები არიან, მეორეები—სომხები და მესამენი თათრები? მაშ ვიღა არიან ქართველები? მართლ-მადიდებლებიც ასე თქვენებურათ რომ ვთქვათ, ისინიც ბერძნები არიან? მაშ რადგანაც ქართველებს დამოუკიდებელი სარწმუნოება არა აქვსთ იმათ ნება არა აქვსთ რომელიმე ნაციას ეკუთვნოდნენ ან შეადგენდნენ?

Არ ვიცი საიდან მოსვლია „მშაკს“ იმ ნაირი ბრძნული გამოკვლევა, რომ იმათი გვარის წოდებაც კი ამტკიცებს, რომ ისინი სომხები არიანო, ბრძანებს. Ნუ თუ „მშაკს“ მარტო „ძეები“ ჰგონია ქართველები?!

Შეცდომით შეტყობილი უნდა ჰქონდეს „მშაკს“, რომ ახლა დაიწყეს შეეტანა ქართული ენისა. Ქართულ ენაზედ მარტო სამოციქულო სომხის ტიბიკონზე კათოლიკები ყოველთვის ჰკითხულობდნენ და ჰკითხულობენ; მაგრამ ფსალმუნები Ლათინის რიგის ეკკლესიებშია შეტანილი და არა სომხურში. Და თუ დღემდინაც არ იყო შეტანილი, ეს იმისთვის რომ ხალხში დაკარგული იყო სამშობლო ენის პატივისცემა და სიყვარული და არა იმისათვის, რომ ის რიგები ან სომხების ეკუთვნოდა ან ფრანგებს.

Ვკითხავთ „მშაკს“: Კავკასიაში ნამყოფი სომხები რომ ქართულს ლაპარაკობენ და სომხური ინჩიც არ იციან, განა იმათ შეგვიძლია უწოდოთ ქართველებათ? Ზანა დიდი ხანია რაც გავრცელდა თქვენში სომხური ენის სიყვარული და გვაროვნობაზე ფიქრები?!

Თუ ჩვენი კათოლიკები ქართველები არიან, ყველა ეკლესიის წესები სომხურ ენაზე რატომ მიდიოდაო? Თუ ქართველებმა აღიარეს კათოლიკობა, რუსების მოსვლამდინაც ექმნებოდათ კათოლიკობაო!

Საშინელი საბუთია თქვენმა სიცოცხლემ და საშინელი დიდი დამტკიცება რომ ეკლესიებში ქართველები სომხურ ტიბიკონზე სომხურათ ლოცულობდნენ და არა ქართულათ! Და თუ ისიც არ გცოდნიათ, თუ ქართველებმა რუსების შემდგომ შეიწყნარეს კათოლიკობა, თუ რუსებზე ადრე—მაშ ჯერ ბევრი გაკლიათ ამ საგანზე სწავლა.

Ვგონებთ იმაშიც თავ-მოყვარეობას თქვენი შორს-მჭვრეტელობისათვის გადაუჭარბებია, რომ ბრძანებთ, „თუ მეფეების დროსვე ქართველობამ მიიღო კათოლიკობა, რისთვის შეიტანეს სომხური ენაო“. Თქმა არის, რომ მაშინაც მძლავრები ყოფილხართ და ეხლაც, რომ თქვენ და თქვენს ენას მაგრე გიმეფნიათ.

Ის კი თქვენივე [illegible] უნდა იყოს, რომ „ქართველთ კათოლიკეები არც ოფიციალურათ ყოფილა აღიარებული და არც აფიციალურ ქაღალდებში შეხვედრიხართ. Ამის მთქმელი არც არავინ ყოფილა და არც არავინ იქნება იმისთანების მეტი, რომელნიც ამ ნაირ საქმეებს ბრმათ უყურებენ და ჰგონიათ, რომ სარწმუნოება გვარს შეუცვლის და გვარი სარწმუნოებას.

ლას-ლას-მან.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

Გუშინ, კვირას, 23 ნოემბერს, მოულოდნელად მოვიდა Თფილისში პირველად თოვლი. Თითქმის მთელი დღე თოვდა, ღამით კი ყინვა დაიწყო და დღეს გვარიანად ცივა.

* *

Მივაქცევთ ვისიც ჯერ-არს. იმათ ყურადღებას შემდეგ წერილზე, რომელიც Ახალ-სენაკიდამ მივიღეთ:

„Აქაურ სატუსაღოში გარდაიცვალა დღეს ერთი ტუსაღთაგანი, გვარად სილაგავა, ორმოც-და-ათის წლის გლეხ-კაცი, რომელიც იყო დაჭერილი დროებით სასამართლოს განკარგულებით. Საწყალი, წინეთ ნაავათმყოფარი, რვა დღე ყოფილა ავათ ამ სატუსაღოს სახლში და 18-ს ამა თვისას ორშაბათს შუაღამის შემდეგ, ვგონებ უზიარებელიც მოკვდა.

„Ეს მოხდა ახლანდელი სმოტრიტელის, წინეთ პოლიციის პრისტავის მწერლათ ნამყოფის წყალობით, რომელსაც შეეძლო რაიმე საშუალება ეხმარა, რადგან აქ მოიპოვება ფელდშერი, დოხტური და აფთიაქიც, ანუ Ქუთაისის ჰოსპიტალში გაეგზავნა; მაგრამ საწყალი უყურადღებოთ და უქრისტუფლოთ მოკვდა.

„Ვის ენაღვლება ამ გვარი ხალხის ცოლშვილი და უპატრონოდ დარჩენილი ოჯახი? Ძრიელ შეწუხებული არიან აქაური ტუსაღები უბინაობისაგამო ცუდს, ძველს, დამტვრეულ სახლში. Ფეხის ადგილზე ამ წვიმიან

Რასაკვირველია, ჩვენშიაც ყველას ესმის ეს, მაგრამ ჩვენში ძალიან გულ-გრილად ეპყრობა საზოგადოება იმ აქტიორს, რომელმაც როლი არ იცია.

Თეატრიდამ გამოსვლის შემდეგ ლაპარაკობენ და არიან ერთს ფაცაფუცში:—აქტიორმა როლი არ იცოდაო, ეს როგორ შეიძლებაო! Თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ აღარ ვივლით თეატრშიო! Და ბევრ ამისთანებს ამბობენ ხოლმე თეატრს გარეთ. Რასაკვირველია, ამისთანა ლაპარაკით ისინი საქმეს ვერ შველიან, კიდევ მოდიან თეატრში და კიდევ უცქერიან აქტიორებს, რომელთაც როლები არ იციან...

Სანატრელი და სასურველი იქნება რომ ჩვენმა საზოგადოებამაც ისრე მოეპყრას ამ გვარს აქტიორებს, როგორც აქ.; მარტო მაშინ შეიძლება იმათი გასწორება.

Აქტიორის პირველი სურვილი ის არის, რომ მაყურებლისაგან იყვეს შეყვარებული და პატივცემული და თუ მა მაყურებელი მკაცრად მოექცა, რაც უნდა ზარმაცი იყვეს, ძალას დაატანს თავის-თავსა და დაიწყებს როლების სწავლას. Როგორც მაყურებლების სიამოვნება დამოკიდებული აქტიორის თამაშისაგან, ისე აქტიორს მაყურებლების მიღებისაგან: თუ კი აქტიორს ცუდათ მიიღებს საზოგადოება, არ აპატივებს მის შეცდომებს და გაჰკიცხავს იქვე, თეატრში, მაშინ აქტიორი ეცდება შემდეგისათვის უფრო კარგათ მიღებული შექნეს.

Ამ გვარი შეხედულობით—რამდენიმე კარგი შედეგი გამოვა—მაგ. აქტიორი ისწავლის ჭკუას, დაიწყებს სწავლას როლებისას ჩაფიქრდება ხასიათის წარმოდგენაში და მით გაუმჯობესდება.

Პარგის წაბაძვა, მეტი თქმაა, კარგი იქნება და ჩვენც ვისურვოთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ამ შემთხვევაში წაბაძოს საფრანგეთის საზოგადოებას; ძნელი ამაშიდ არ არის რა, ძალიან ადვილიც არის!

*

Მეორე წესი ან ჩვეულება, რომლის წაბაძვა სწორედ არ იქმნება სასურველი, ეს არის აქაურს თეატრში კლაკი, ე. ი. დაქირავებული ტაშისმკვრელები კლაკიორები, გარდა *comédie française*-ის თეატრისა, ყოველს თეატრში არის. Ამათ უფასოთ ეძლევათ ადგილები თეატრში იმ პირობით, რომ ტაში დაუკრან აქტიორებს; ხანდისხან ფულსაც აძლევენ, რომ მოვიდნენ.

Რასაკვირველია, რომ ეს საზიზღარი ჩვეულება და წესია, რომელსაც აქაური საზოგადოება გულ-გრილად შესცქერის, ეს კია, რომ რომელიმე ცუდს აქტიორს ვერ გაუბედვენ კლაკიორები ტაშისკვრას, მაშინვე მთელი საზოგადოება აყაყანდება, მაგრამ თუ რომელიმე აქტიორი მოსწონს საზოგადოებას ცოტათ არის მაინც ყურთა სმენა აღარ არის იმათგან, ყოველს მონოლოგზე, ყოველს უბრალო ოხუნჯობაზე ატყდება ერთი გაცხარებული ტაში. Კლაკიორების უფროსი შეფი, ძალიან პატივცემულია თვითონ აქტიორებისაგან, და გასაკვირველია ეს, რადგან რა სასიამოვნო უნდა იყოს მოთამაშისათვის ეს ტაში!..

Ღმერთმა აშოროს ამ გვარი კლაკის მძებნელი აქტიორები ჩვენს თეატრს და ეს პატიოსნების დამამცირებელი წესი.

გოგი მესხი.

Პარიჟი, 12 (24) ნოემბ.

და ცივ ტაროსში გარეთ მიჰყავენ, ამის გამო ხშირად ცივდებიან და ავათ ხდებიან. ხან-და-ხან ყარაულებიც კი ულმერთოთ ეპყრობიან საწყლებს; მე თვითონ მინახავს როგორც თოფის კონდახით უმაწყალოთ სცემდნენ იმ ავათ-მყოფ სილაგავას რუსის ყარაულები როცა ის ფეხის ადგილზე მიყავდათ და ავათ-მყოფობისაგამო ძლიეს მილოღავდა...

„დრო არის, ამისთანაებს ბოლო მოეღოს..."

* * *

გუშინ, კვირას, გამოვიდა პირველი ნომერი ტფილისის პირველ იუმორიულ საკვირაო გაზეთის „ფალანგისა". ეს პირველი ნომერი, ტექსტს გარდა, რამდენსამე კარიკატურას შეიცავს, ძალიან სუსტად, მკრთალად დახატულს. თვითონ შინაარსზე ამ ნომრისა ჯერ არა ითქმის-რა, რადგან ერთის ნომრით გაზეთის ხასიათი და მიმართულება არ გამოიხატება. ვიტყვით მხოლოთ, რომ იმისთანა უკბილო მახვილობა და უშნო ოხუნჯობა, როგორიც მოყვანილია ბატ. ბრუხნის კორრესპონდენციაში (ქალაქის „შენი-ჭირიმედამ") გაზეთს ამ თავითვე სახელს გაუფუჭებს და ყველას აფიქრებინებს, რომ ამ „ფალანგას" მართლა და ნამდვილი შხამი არ ექნება.

მაგრამ რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს ამ პირველ ნომერს, ჩვენ მაინც ვინატრით, რომ, თუ ეს გაზეთი რიგიან გზაზე დადგება, თუ ნამდვილ საკბენს გამოიცნობს და დაშხამავს, ღმერთმა ნურც ეს შხამი და გესლი მოაკლოს და ნურც ხანგრძლივი სიცოცხლე. მაგრამ, თუ ნეტარ-ხსენებულ „ობზორის" ნანგრევებისაგან დარჩენილ აგურებით განიზრახა ბ. ფითოევმა თავის მომავალ გაზეთის საფუძვლის აგება, ჩვენ ვიწინასწარმეტყველებთ, რომ იმას სიკეთე არ მოელის...

* * *

26 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე იქნება მეხუთე არხეოლოგიურის კრების მოსამზადებელი კამიტეტის სხდომა ტფილისის პუბლიკურის ბიბლიოთეკის ზალაში.

ლაპარაკი იქნება შემდეგს საგნებზე:

1) კამიტეტის თავმჯდომარე აცნობებს საზოგადოებას არხეოლოგიურს შრომაზე, რომელიც აქამომდე მომხდარა კამიტეტის მონდობილობით.

2) მოსკოვის მოსამზადებელის კამიტეტის თავმჯდომარე გრაფი ა. ს. უვაროვი ახსნის, თუ რა მიზანი აქვს არხეოლოგიურს კრებებს და განმარტებს იმათ მნიშვნელობას არხეოლოგიისათვის.

3) კამიტეტის წევრი ა. დ. ერიცოვი ილაპარაკებს, თუ რა მნიშვნელობა, ან რა ხასიათი აქვს გჯგიტებს და კამატუნებს სომხის ეკკლესიებთან.

4) ნ. ო. წილოსანი აჩვენებს საზოგადოებას ზოგიერთს საგნებს, რომელიც უპოვნიათ კასპიის ზღვის პირათ მდებარე ძველ ნანგრევებში და სასაფლაოებში.

ყოველნი პირნი, რომელთაც აქვთ არხეოლოგიის თანაგრძნობა, მოიპატიჟებიან ამა სხდომაზე.

* * *

პეტერბურღში გამოვიდა ამასწინათ რუსულად პ. პოლიშისაგან შედგენილი „საზოგადო ისტორია ლიტერატურისა", რომელშიაც, სხვათაშორის, ჩართულია აგრეთვე ისტორიაც სომხურ ლიტერატურისა პროფესორის პატკანიანცისაგან დაწერილი...

* * *

სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 18-ს იქაურ სცენის მოყვარეებს ქართულ-სომხური წარმოდგენა გაუმართავს; ქართულად რაღაც ლექსად დაწერილი ვოდევილი „ოსება და ოჩან-პეტრე" უთამაშნიათ. ადგილობრივ უეზდის სასწავლებელში გაუმართავს სცენა და ამ ზამთარში კიდევ რამდენსამე წარმოდგენას ამზადებენო.

# რუსეთი

პეტერბურღი, 15 ნოემბ. („დროების კორრესპონდენცია). საძაგელი რამ არის ამ ნოემბერში პეტერბურღი. როგორც ოკტომბერში ყოველდღე თოვდა, ისე ეხლა ყოველდღე წვიმს. თითქმის რაც თოვლი იყო, სულ დადნა. ადგილ-ადგილ ამ წვიმის და თოვლის გადნობის გამო ქუჩებში გუბეები დგას. თუმცა მარხილები (სანკები) კიდევ მუშაობენ, მაგრამ ვაი იმ მუშაობას. ცხენებს საშინლათ უჭირდებათ. სანებში მჯდომ ხალხსაც სხვა გაჭირება ადგება ხოლმე. მინამდის დანიშნულს ადგილამდინ მიხვალ, სულ აქეთ-იქიდგან ცხენის ფეხებით და კარეტების თვლებით ისხურები, ასე რომ შინ სულ გატალახიანებული დაბრუნდები ხოლმე. ამას თან დაუმატეთ უგემური ბნელი დღეები, რომელშიაც ბევრ სახლში და მაღაზიებში დილიდგან საღამომდინ სამთელი ანუ გაზი უნთიათ. ჩვენში რომ ამგვარი ამინდი იყოს შენი მტერი, შინიდგან გარეთ კაცი ველარ გამოვა.

აქ კი ქუჩებში ისეთი მოძრაობაა და ჩახა-ჩუხი ისმის, როგორც კარგს ამინდში. ჩვენებური უცხო კაცი აქ რომ მოვიდეს და ამ ამინდში ქუჩაში გამოვიდეს, გაუკვირდება და თავის გულებაში იტყვის: ეს ამოდენი ქვეითი და ეკიპაჟით ხალხი სად დადინო? რა უნდათ, რომ ამისანა დარში ესე დარბიანო და დააჭენებენო?

მართლათაც, ამ კარტინას რო კაცი დაუკვირდეს, რა წარმოუდგება? წარმოუდგება ის ჭეშმარიტი აზრი, რომ მომეტებული ნაწილი ამ ხალხისა დარბის დღიურ ლუკმა პურის საშოვნელათ და თავის ჯალაბის სარჩენელად. ერთი მირბის სამუშაოთ, მეორე ფულის სასესხებლათ, მესამე დალალობისათვის, მეოთხე სასწავლებელში, მეხუთე ადვოკატთან, მეექვსე ბირჟაზედ და სხვ.—ვინ მოსთვლის რამდენი გვარი საქმეები აქ ყოველდღე კეთდება და რამდენი ჯურის და ხელობის კაცი აქ დარბის. ბევრი საქმე ტრახტირებში და სხვა შეაქცევ ადგილებში კეთდება. ბევრიც ცის ქვეშ, ქუჩებში, როგორათაც ჩვენ ბალავინის პროსპექტზედ, ბელოვის სახლისა და ოპიდენანს-გაუზის შუა. ვინც ქალაქში გინდათ იპოვნოთ, ამ ადგილს არ უნდა მოსცილდეთ. უექველათ ის ამ ადგილს არ ასცდება. ეს არის ჩვენი სალაყბო, ბირჟა, საქმის ადგილი, ჭორის ბუდე და სხვა. და სხვ.

რა ვქნა, რა გითხრა სასიამოვნო ამბავი ჩემო მკითხველო? საიდაც შეიხედავ, სულ შავი ღრუბლებია. ამბობენ კი, მზე მალე უნდა გამოვიდესო, მაგრამ ვინ იცის...

ერთი კარგი დაპირება შევიტყე გუშინ. უგანათლებულეს თ. ნიკოლოოზ მინგრელსკის სურს თავის ბიბლიოთეკიდგან რაც კი საჭირო და შესანიშნი ქართული წიგნები აქვს, შესწიროს ქართული „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას." ღმერთმა ინებოს ეს სურვილი მან მალე შეასრულოს. იმედია ეს მაგალითი ბევრს სხვასაც გააბედვინებს ამ გვარ კეთილ და საწყალ ჩვენ საქართველოსთვის სასარგებლო საქმეს.

დროებითი პეტერბურღელი.

# უცხოეთი

წვრილი ამბები. გაზეთს „*Standard*"-ს ვენიდამ აცნობებენ, ეპირის მხედრობას უბრძანესო, რომ თავისი ბანაკი კიდევ წინ წასწიოს. ამის გამო ქარპენიციდამ, სადაც აქამდის იყო მხედრობა დაბანაკებული, ის გადადის ეხლა ხალკიოპოლისში. ამბობენ, ათინის მმართებლობა ომის დროს ნაღმებით აპირებს ზღვის ნაპირების დაცვასო.

—

*Politiche Correspondenz*-ს აცნობებენ, რომ ოსმალეთის მმართებლობას იაფაში უკვე დაუწყია ჯარის კაცების გამოყვანა. საკვირველიაო," ამბობს ამ გაზეთის კორრესპონდენტი, რომ ეხლა სამჯერ უფრო ბევრს ჯარს აგროვებენ, ვიდრე წინადო.

—

ფრანცუზული გაზეთს Temps-ში სწერია, რომ ლორდ ბიკონსფილდის ახალი რომანი „*Endymion*", ამბობენ, ერთს გამომცემელთ ამხანაგობას უყიდია 250,000 ფრანკად (40,000 მანეთამდე). რომანის საგნად აღებულია უახლოვეს დროის ისტორია კანინგის სიკვდილიდამ ნაპოლეონ III *coup d'état*-მდე ავტობიოგრაფიის ფორმით. მომქმედ პირებად გამოყვანილ არიან ლორდები მელბორნ და პალმერსტონი, ნაპოლეონი III, კობდენი, ბრაიტი, კარდინალი, მანნინგი, როტშილდი და ბისმარკი, რომანის გმირად თვითონ ავტორია გამოყვანილი.

—

ამბობენ, ამ ცოტა ხანში აბისინიის სამეფოსა და ეგვიპტის შორის აუცილებლად ომი ატყდებაო.

—

დუბლინიდამ იწერებიან, ირლანდიის სამიწაწყლო (ლიგის) კავშირის მოთავეთა განსამართლება 28 ნოემბერს დაიწყებაო. იმედი აქვთ, რომ ამ განსამართლებით ბევრი იმისთანა ფაქტები აღმოჩნდება, რომ გლადსტონის მმართებლობა იძულებული იქნება საყურადღებო ცვლილებანი მოახდინოს ირლანდიის სამიწაწყლო კანონებში.

—

ჩერნოგორიელებს ჩაუბარებიათ დულცინიო.

—

პრუსიის დეპუტატთა პალატს ამ ცოტა ხანში კიდევ ექნება სჯა ურიების სამოქალაქო უფლებათა შემცირების თაობაზე. ერთს დეპუტატს წინადადება შეაქვს პალატში, რომ მმართებლობამ შეკრიბოს სტატისტიკური ცნობა ყველა საალებ-მიცემო კამპანიებზე, რომელნიც ალებ-მიცემობაზე გამოსულ კანონების შემდეგ დაუარსებიათ, და მასთანვე შეიტყონ ვინ რა სარწმუნოების და რა პოლიტიკური მდგომარეობისაა. ვენური *Presse* და სამი გავლენიანი ინგლისური გაზეთები ძრიელ ჰკიცხვენ ნემცებს ურიების დევნისათვის და ეუბნებიან ამ ნაირი მოქმედება ხეირიანს არაფერს დაგმართებსთო. გერმანიის ზოგიერთი გაზეთები ცდილობენ დაარღვიონ ზემოხსენებულთ გაზეთთა აზრი და ამბობენ რომ მათი სტატიები თვითონ ურიების დაწერილებიაო.

—

საფრანგეთის დეპუტატთა პალატს მიუღია იმ კანონ-პროექტის პირველი მუხლი, რომელიც საზოგადოებრივ სკოლებში პირველ-დაწყებითი სწავლის უსასყიდლობას ამტკიცებს.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუხარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალის, ბაზოვი — გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტკოვი — ზებიოხის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანის ავათმყოფობის.

ოთხშაბათს: გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—

ალის, შტემბოლისკი—გენერალ და განის, ჰომერანცოვი—გულის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ჟურავლევი—ყელის და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყ., ქიუზარიანცი — გენერალ და სამარდე ახოების ავათმყოფ., ვერმიშევი — ში აგანი ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** გავრილოვი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოავი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—გენერალ და განის, შტემბოლსკი — გენერალ და განის ავათმყოფობისათვის.

**შ ა ბ ა თ ს:** ჟურავლევი—გენერალ და ვანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი —გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდის სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., შარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ზემის ავათმყოფი ქალებისათვის.

# განცხადებანი

—

## კანტორა

### ლუკა იაგორიჩ რუხაძისა

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან ვაღებ **ქ. ფოთში კამისიის კანტორას** ჩემი მაღაზიის მეორე ეტაჟში, ზევით და იმედნეული ვარ არ დამტოვებთ უყურადღებოთ, რადგან ვიღებ ჩემს თავზედ შრომას ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისას ნაკლები კამისიით.

კანტორის საქმეებს აწარმოებს მოსე დავითის ძე კაკაბაძე, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

ლ. რუხაძე.

5—1

### ვეფხვის ტყაოსანი

ვისაც აქვს ხელ-ნაწერი ვეფხვისტყაოსანი ვსთხოვთ პოემის რედაქციისათვის გვათხოვონ, ორი თვის ვადით. წიგნი შეიძლება გამოიგზავნოს ან „დროება-ივერიის“ რედაქციაში, ან „წერა-კითხვის“ კანცელიარიაში, სასპერების ქუჩაზე, № 41.

(3—2)

### გორის დამზოგველ საზოგადოებისაგან

გორის სამაზრო დამზოგველი საზოგადოება უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელნიც ამ საზოგადოების წევრად ჩაეწერნენ და წლისაც ჯსურსთ წევრობა, თავიანთი საწევროების ფული წარუდგინონ საზოგადოების წევრ-დამფუძნებელს თ. რევაზ შალვას ძეს ერისთავს, რომელიც გორში სცხოვრებს.

5—1

ახლად გაიხსნა

## თევზეულის მაღაზია

ერევნის მეიდანზედ თამამშოვის ქარვასლის ლომების ქვეშ აღმოსავლეთის მხრით, გენერალი ტერ-ასატუროვის სახლების პირ-და-პირ, სადაც ისყიდება პარტიობით და წვრილად ახალ-ახალი ხიზილალა და ქიდკა; აგრეთვე ყოველ-გვარი თევზეული ახალი და ხმელი, რომლებიც მოსდის მაღაზიას სალიანიდამ და იმის გარეშემო ვათაგებიდამ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აღნიშნულ მაღაზიას.

5—2

პ რ ო ვ ა ნ ს კ ი ს ზ ე თ ი ს

## ფაბრიკა ს. მ. მღებროვისა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ახალ ფაბრიკაში ვაკეთებული პროვანსკის ზეთი ფუთი 16 მანეთად ისყიდება, ადგილობრივი, კავკასიის ზეთი კი ფუთი 12 მანეთად. წვრიმალად ზეთი ისყიდება სოლოლაკის ქუჩაზე, შაკიევის მაღაზიაში, ღენ. სუმბათოვის სახლებში, და ნარდათ, პარტიობით კი მღებროვის საკუთარს მამულში ერევნის ქუჩაზე, სახლის № 16.

ვინც ქალაქს გარეშე ადგილებიდამ დაიბარებს ამ ზეთს, მოთხოვნიბას მსწრაფლად და ბეჯითად შეუსრულებთ. ვინც ნარდათ, პარტიობით ისყიდის ბლომად, იმათ 10% დაეთმობა 100 მანეთის საქონელზე.

ამას გარდა აქვე ისყიდება **კაპტონი**, ზეთის ნახადი, რომელიც ასუქებს ყოველ გვარ შინაურ საქონელს, ფუთი 1 მან. (5—2)

### პატენტიანი შროტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარკევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუქ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ფუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—80)

### მთავარი კანტორა დანდოგით ამხანაგობისა

## „იაგორ კასუმოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი გ. ჯაყელის სახლი.

ჰქირულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგირაოს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყ ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

| | | |
|---|---|---|
| 1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე | 4½ | % |
| საპირობო ანგარიშისასამებრ | 5 | % |
| 2) 6 თვით ვადით შეტანილ ფულზე | 5½ | % |
| 12) თვის | 7 | % |
| ერთი წლის მეტით | 8 | % |
| 3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. | 9 | % |

შემოტანილ ფულების ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმან.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე,

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოშტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

| | | |
|---|---|---|
| თვე-და-თვე გადასახად სესხზედ | 10 | % |
| კვირაში ერთხელ | 9 | % |

ვადამდე გადუხდელობით ყველა შემოსავლის ფირმასთან საქმის განსვლის მოთხოვნებით.

ჰყიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან გადასახადის დროებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას ოდესის ექვს სხვა - და - სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ კანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე.

(10—7)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

თმის ამო-მყვანი



მაკ-ალ-ტერი

ამაგრებს თმას და აძლიერებს ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—12)

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

## შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(ვოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და საზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—10)

**Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Ноября 1880 г. Типографія Меликова** გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.